დამტკიცებულია:

რექტორი /იოსებ კაჭახიძე/

№62 16.05 2016 წელი

შპს „ ქუთაისის სამედიცინო სკოლა“

განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები

მისია

- ინდივიდის პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერის განვითარებისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა, შესაბამისად მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება,
- შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრის უზრუნველყოფა კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრებით;
- პროფესიული განათლების შესაბამისობის უზრუნველყოფა სწრაფად და მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის გზით;
- არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან მოსახლეობის ადაპტაციის ხელშეწყობა, საკუთარი ბიზნესი სწამოწყების და/ან თვითდასაქმების გზით;
- პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა;
- პრინციპის - „სწავლა მთელისიცოცხლის განმავლობაში“ - ხელშეწყობა და განვითარება;
- პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის ხელშეწყობა.

სამუშაოს პრინციპები

- პროფესიონალი კადრების მომზადება;
- სწავლების, სწავლის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება;
- ეროვნულ,რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე კოლეჯის როლის ზრდა;
- ინდივიდუალური მიდგომა ყოველი პროფესიული სტუდენტისადმი;
- სწავლის პროცესში განსაკუთრებული აქცენტი სასწავლო პრაქტიკაზე;
- ინოვაცია, ლოდერობა, ადვოკატირება;

- კომფორტული სასწავლო გარემო;
- მოტივირებული პროფესიული მასწავლებელი
- ორგანიზაციული კულტურა;

მიზნები

- საქართველოში კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროფესიული კადრების მომზადება
- კარიერული ზრდის ხელშეწყობა და დამსაქმებლების მოთხოვნების მაქსიმალური გათვალისწინება
- პროფესიულ სტუდენტებში ლიდერის თვისებების განვითარება და მოტივაციის გაზრდა
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სწავლების ხარისხის შეფასების კრიტერიუმების პერმანენტული სრულყოფა
- გარე აქტივობებში პროფესიული სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა;
- სწავლების ინოვაციური მეთოდების აპრობირება და სასწავლო პროცესში მათი დანერგვა

ამოცანები

- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გადამზადების პროგრამებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა.
- სასწავლო რესურსების, სამედიცინო ინფორმაციის ელექტრონული ბაზებისა და წიგნადი ფონდის მუდმივი შევსება-განახლება.
- პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე
- სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვაში პროფესიული სტუდენტების აქტიურად ჩართვა

შესავალი

„ქუთაისის სამედიცინო სკოლის“ გეგმა მიმოიხილავს გრძელვადიან ხედვას მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში. ამ გეგმით მუშაობის პირველი წლის ანგარიში გარკვეულწილად დააზუსტებს აღნიშნულ გეგმას.

გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომელიც დაეხმარება კოლეჯს თავისი საქმიანობის შეფასებისა და შემდგომი სრულყოფის პროცესში.

ინსტიტუციური გარემოს მიმოხილვა

ინსტიტუციური პარტნიორები

კოლეჯი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, კანონით „პროფესიული განათლების შესახებ", სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებრაე ნორმატიული აქტებით და საკუთარი წესდებით. იგი ორიენტირებულია კურსდამთავრებული იყოს კვალიფიციური პროფესიული განათლების მქონე სპეციალისტი.

კოლეჯი ითანამშრომლებს საქართველოში არსებულ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, ასევე ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა დაწესებულებებთან.

ასევე კოლეჯის მნიშვნელოვანი ამოცანაა თანამშრომლობა პროფესიულ ასოციაციებთან როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

საქართველოს განათლების პოლიტიკის ერთერთი პრიორიტეტული საკითხია პროფესიული განათლების განვითარება. იგი მოიცავს ამ მიმართულებით ადამიანური რესურსების განვითარებას, შრომის ბაზარზე არსებული სამედიცინო. ფარმაცევტული პერსონალის დეფიციტის შევსებას, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

„ქუთაისის სამედიცინო სკოლა" ადგენს მომავალი საქმიანობის 6-წლიან სტრატეგიულ გეგმას, რომლის შესრულება გულისხმობს თანამშრომლების, სტუდენტთა და სხვა დაინტერესებული მხარეების ერთად მუშაობას.

ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები:

1. სწავლების, სწავლის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება
2. პროფესიული სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის საქმიანობაში
3. ადამიანური რესურსის ხარისხი
4. მენეჯმენტის ხარისხი
5. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

1.სასწავლო პროგრამის ხარისხი

მიზანი: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და ინტეგრირების ხარისხის ზრდა

სტრატეგიები

პროგრამის შინაარსის სწავლის მოსალოდნელ შედეგებზე ორიენტაციის ზრდა.

6-წლიანი გეგმებია

1. პროგრამების გადახედვა და სრულყოფა;
2. დაინტერესებულ მხარეებთან/დამსაქმებლებთან კომუნიკაცია სწავლის მოსალოდნელი შედეგების ანალიზის,პრიორიტეტების განსაზღვრის, შეთანხმების მიზნით.
3. სწავლებისა და სწავლის რევიზირებული სტრატეგიის განვითარება და დანერგვა, სწავლებაში საუკეთესო შედეგების დასადასტურებლად.
4. სისტემატური პროცედურების შემუშავება/დანერგვა სწავლებასა, სწავლასა და შეფასებაში საუკეთესო პრაქტიკის გამოსავლენად და გასავრცელებლად.
5. განვითარების პოლიტიკის შემუშავება/დანერგვა, რომელიც ქმნის რწმენას,რომ პერსონალი არის პროფესიულად კომპეტენტური არა მხოლოდ თავიანთ დისციპლინაში, არამედ სწავლების უნარებშიც.

1-წლიანი გეგმაა

შეფასების არსებული სისტემის ანალიზი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ფოკუსირებით.

2. ფინანსური სტაბილურობა

მიზანი:ფინანსური ბაზის შენარჩუნება/ზრდა.

კოლეჯის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება წარმოუდგენელია დამატებითი შემოსავლების ზრდის გარეშე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ უახლოესი წლების განმავლობაში კოლეჯმა გაზარდოს დამატებითი შემოსავლები და შეძლოს ფინანსური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესება.

სტრატეგიები

1. შეძლებისდაგვარად უნდა გავზარდოთ ფინანსური მდგომარეობა
2. ფინანსური შესაძლებლობების ზრდის უზრუნველყოფა ადეკვატური ფინანსური სტრატეგიების შემუშავებით
3. ბიზნეს-პროცესების მოდერნიზება სწორი, ხარჯთ-ეფექტური ფინანსური გარემოს უზრუნველსაყოფად.
4. ფინანსურად მომგებიანი ინოვაციური პროექტების შემუშავებაზე მუშაობა.

6-წლიანი გეგმებია

- შემოსავლების ზრდა მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესებით.
- ხარჯთ-ეფექტური გარემოს შექმნა.

1-წლიანი გეგმებია

საქართველოში სამედიცინო სფეროში პროფესიულ განათლებაზე მზარდი მოთხოვნის ფონზე კოლეჯის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სტუდენტების რაოდენობის გაზრდა.

3. სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის საქმიანობასა და აქტივობაში

მიზანი: კოლეჯის ცხოვრებაში სტუდენტების შესაძლო ჩართვის და მათი აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა.

6-წლიანი გეგმებია

- სასწავლო პროცესების მართვის და ორგანიზების პროცესში სტუდენტების თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფა.
- სტუდენტური თვითმართველობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.
- მყარი, ტრადიციებზე დაფუძნებული ურთიერთთანამშრომლობა სტუდენტურ ორგანიზაციებთან ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

1-წლიანი გეგმებია

- სასწავლო პროცესების ორგანიზებასა და მართვაში სტუდენტური თვითმართველობის წევრების ჩართვა.
- სტუდენტთა აკადემიური, კვლევითი, საზოგადოებრივი აქტივობების ხელშეწყობა

4.ადამიანური რესურსის ხარისხი

მიზანი: პედაგოგების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა; ახალი/გამორჩეული რესურსების მოზიდვა (შტატი და სტუდენტები)

სტრატეგიები

პედაგოგების ჩართულობა სტრატეგიის მთავარ საკითხებში.

პედაგოგიური კოლექტივის პროფესიული ზრდის შესაძლებლობის ხელშეწყობა.

6-წლიანი გეგმებია

პედაგოგების პროფესიონალური განვითარების ხელშეწყობა, მათი დახელოვნების პროგრამებში მონაწილეობით.

სტუდენტთა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური და პროფესიული საჭიროებისათვის ხარისხიანი და ეფექტური სერვისის შეთავაზებაზეზრუნვა, მათი პოტენციალის სრულად რეალიზების მიზნით.

პედაგოგებისათვის სამედიცინო განათლებაში სასწავლო კურსის შეთავაზება.

1-წლიანი გეგმებია

პედაგოგებისათვის სამედიცინო განათლების სასწავლო კურსის შექმნა.

სტუდენტების დახმარებისათვის სხვა და სხვა სერვისების შექმნა სტუდენტი ინდივიდუალური საჭიროებაზე ორიენტაციით.

5. მენეჯმენტის ხარისხი

მიზანი: ხელმძღვანელობის, მენეჯმენტისა და ადმინისტრირებისპერმანენტულ გაუმჯობესება.

სტრატეგიები

1. აკადემიური წარმატების გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის ფინანსების, რესურსების და რისკების სწორი მენეჯმენტით.საწესდებოდა მარეგულირებელი მოთხოვნების ურთიერთ შეთანხმება, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ ხელმძღვანელობას.

2. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ამ მხრივ არსებული საუკეთესო გამოცდილების მოძიება.

3. არსებული სერვისების სერვისების (ადმინისტრაციის, ბიბლიოთეკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების ფუნქციონირების) ქმედითუნარიანობისა და ეფექტურობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

4. ბიუჯეტის ყოველწლიური სტრატეგიული დაგეგმარების შემუშავება, რომელიც ასახავს კოლეჯის პრიორიტეტებს.

6-წლიანი გეგმებია

- კოლეჯის მენეჯმენტის გაძლიერება/გაუმჯობესება.
- სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და მართვის გაუმჯობესება.
- საკანონმდებლო და ბაზრის მოთხოვნების შესწავლა, მომხმარებელთა საკუთარი სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა, საკუთარი კონკურენტული უპირატესობების შეფასება და აღნიშნულის საფუძველზე , განვითარების სტრატეგიის შემუშავება.
- კადრებზე ზრუნვა (არსებულის კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი,პერსპექტიული კადრების მოზიდვა).
- მარკეტინგის სხვა და სხვა ინსტრუმენტების კომბინირებული და კოორდინირებული გამოყენება მოქნილი და დინამიური მარკეტინგული სტრატეგიის შესამუშავებლად.

1-წლიანი გეგმებია

- ცალკეული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების მონიტორინგი, მათი საქმიანობის გაუმჯობესებისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
- ადმინისტრაციული კადრების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა.

6. **ინფრასტრუქტურა**

მიზანი: კოლეჯის სასწავლო გარემოს გაუმჯობესება;

სტრატეგიები

პროცესების შემუშავება და დანერგვა , რომლებიც ლიმიტირებული ფინანსების და რესურსების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენების მეშვეობით გააუმჯობესებს სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

სამედიცინო სასწავლო ელექტრონული ბაზებისა და წიგნადი ფონდის მუდმივ შევსება/განახლებაზე ზრუნვა.

აუდიო-ვიზუალური, კომპიუტერული და ინფორმაციული ინფრასტრუქტურის დონის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა.

6-წლიანი გეგმებია

შესაბამისი თანამედროვე სასწავლო გარემოს გაუმჯობესება

1-წლიანი გეგმებია

- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსები, აღჭურვილობის, მასალების და საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩათვლით, საკმარისობა.
- კოლეჯის კომპიუტერული ბაზის ინტერ- და ინტერნეტის მეშვეობით უზრუნველყოფა. კომპიუტერული დაქსელური ინფრასტრუქტურა, რომელიც სწავლებისთვის და ადმინისტრირებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სრული ექსპლოატაციის შესაძლებლობას იძლევა.
- გარემონტებული სასწავლო ოთახები.